ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 13253585**

თარიღი:**24/12/2025**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.დ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის, მე-5 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებისა და საქართველოს მთავრობის 2024 წლის 16 აპრილის N 536 (ცვლილება 2025 წლის 5 დეკემბრის N2041 განკარგულება) განკარგულების საფუძველზე,

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით - უზუფრუქტის ფორმით, სსიპ - სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების ეროვნული სააგენტოს სამხედრო გაწვევისა და რეკრუტირების რეგიონული ცენტრების სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და რეკრუტირების ახალციხის მუნიციპალური განყოფილებას 2027 წლის 01 იანვრამდე გადასცეს, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ახალციხეში, შალვა ახალციხელის ქ. N2-ში (ს.კ. 62.09.58.202) მდებარე ადმინისტრაციული შენობის პირველ სართულზე განთავსებული სამი ოთახი, კერძოდ: N23 ოთახი 39,73 კვ.მ., N13 ოთახი 30,46 კვ.მ., N14 ოთახი 31,76 კვ.მ.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

საბა კბილაშვილი

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი